საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №75

ქ. ბათუმი 20 ივლისი, 2018 წ.

„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებაში, კერძოდ, **მე–4 მუხლის მე–4 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

,,გ) ქართული ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნა (იმ კანდიდატისათვის, რომლისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის და სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე). კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ბსუ-ში ჩააბაროს გამოცდა ქართულ ენაში."

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კოდიფიცრებულ ვერსია შესაბამის ველში).

1. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს და სტრუქტურულ ერთეულებს.

2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**